ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3336566

ნომერი: AR1508748

თარიღი : 30.05.2017

გაცემის თარიღი : 20.06.2017

გაცნობის თარიღი : 20.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კეკელიძე , N 68-70 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ სურვილაძე პ/ნ 01024001606
- თბილისი კ.შევარდენიძის ქ. N 7 ბ. 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 მაისის #3260731 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 30 მაისს #AR1508748 განცხადებით მომართა არჩილ სურვილაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 15

მაისის #3260731 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 მაისის #3260731 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი მთაწმინდა, კეკელიძის ქუჩა #68-70, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.15.02.055.114), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 მაისის #3260731 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ, 2017 წლის 15 მაისის #3260731 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმების ჩანაცვლებას, 2017 წლის 30 მაისს #AR1508748 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით, ვინაიდან გეგმების გრაფიკულ ნახაზებზე ცალკეული ბინებისა და აივნების ფართობები არასწორადაა მითითებული .

სამსახურმა სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლები შეესაბამება სამსახურის 2017 წლის 15 მაისის #3260731 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და განმცხადებლის მოთხოვნა აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 მაისის #3260731 ბრძანებაში და შეთანხმებული პროექტის გეგმები ჩანაცვლდეს 2017 წლის 30 მაისის #AR1508748 განაცხადით წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით. სამსახურის 2017 წლის 15 მაისის #3260731 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 მაისის #3260731 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.